ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6012366

ნომერი: AR1908535

თარიღი : 24.06.2022

გაცემის თარიღი : 30.06.2022

გაცნობის თარიღი : 30.06.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ბარქაია პ/ნ 62001001828
- გურამიშვილის 28 ბ71/72

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 24 ივნისის №AR1908535 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2022 წლის 19 აპრილის №5904142 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 27 ივნისის №6005541 ბრძანებით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული, კერძოდ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობში შეყვანილია ლიფტის შახტის ფართობები. ვინაიდან, ლიფტის შახტების ფართობი არ არსებობს (სიცარიელეა), აღნიშნული ფართობები ამოღებულ უნდა იქნას კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობიდან (გარდა, -2.750 ნიშნულის გეგმისა რომელზეც ლიფტის შახტის ფართობი შედის კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობში). ასევე, საჭიროა ტამბურის და ლიფტის ფოიეს ფართობები, შეყვანილ იქნას კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობში (ლიფტის შახტის ფართობის გამოკლებით). ასევე, ავტოსადგომების ფართობებში შეყვანილია მონოლითური კედლების, კოლონების და საავტომობილო პანდუსის ფართობები. ამასთან, საცხოვრებელ, საოფისე, კომერციულ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს და დამხმარე ფართობებში შეყვანილია კოლონების და სავენტილაციო შახტების ფართობები (გეგმებზე მცირედით შემცირებულია აღნიშნული ფართობები, თუმცა, არ შეესაბამება ვექტორული ფაილის მიხედვით გადამოწმებულ რეალურ ფართობებს).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, დაზუსტდეს მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 19 აპრილის №5904142 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2022 წლის 19 აპრილის №5904142 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), გასწორებული ფართობების დატანით.
ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 27 ივნისის №6005541 ბრძანებას გაეცანით 2022 წლის 27 ივნისს და განახლებული დოკუმენტაცია 2022 წლის 29 ივნისს, სამსახურის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 28 (ოცდარვა) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 28 (ოცდარვა) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2022 წლის 24 ივნისის №AR1908535 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.